

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №23

ქ. მარტვილი

25 ნოემბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე დამთავრდა 14:30 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, გოჩა ჯიქია, ზაზა რუხაია, მათა გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, სერგი ფაცაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/, ზვიად ბერია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასმტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება №77 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; /მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

1. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ზვიად ბერია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალიტი/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი-ზვიად ბერია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალიტი/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგზავნილ იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში განსახილველად და შესაბამისად გათვალისწინებული იქნება საკრებულოს მიერ მითითებული შენიშვნები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმაგამ აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიების მიერ წარმოდგენილია გარკვეული შენიშვნები და აღნიშნული შენიშვნები გააცნო საკრებულოს წევრებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მელიაგამ აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილულ იქნა კომისიის მიერ და მიზანშეწონილად მიაჩნიათ შემდეგი შენიშვნების გათვალისწინება: კერძოდ მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ სპეცტექნიკის მძღოლების სახელფასო ანაზღაურების გაზრდა, ასევე გენდერული თანასწორობის კუთხით თანხის გათვალისწინება.

აგრეთვე მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების ჩამონათვალი ასახულ იქნეს დეტალურად და გასაგებად. რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს შენიშვნებით ბიუჯეტის პროექტის მერისთვის დაბრუნება.

სხდომის თავმჯდომარემ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნების შესახებ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23 , წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დაუბრუნდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი შენიშვნებით.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება №78 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მიმოხილვა ნაზრდი ჯამით, მარტვილის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ადგილობრივი შემოსულობები უნდა შემოსულიყო 8941.1 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 9967.2 ათ ლარი, გადასახდელები გეგმით უნდა შემოსულიყო 8541.4 ათ ლარი ფაქტიურად შემოსულია 8755.0 ლარი, ქონების გადასახადი გეგმით უნდა შემოსულიყო 220.9 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 448.1 ლარი, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმით უნდა შემოსულიყო 7.0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 4.7 ათ. ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმით უნდა შემოსულიყო 20.0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 21.2 ათ. ლარი, დ.დ.გ. გეგმით უნდა შემოსულიყო 8320.5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 8306.9 ლარი, სხვა შემოსულობები გეგმით უნდა შემოსულიყო 320.5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 681.8 ათ. ლარი. სხვა შემოსულობები წარმოდგენილია დანართის სახით და განაცხადა, რომ ის უპასუხებს საკრებულოს წევრების შეკითხვებს.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავჯდომარემ „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულება.

„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის მოსმენის და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის №79 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის/.

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ზვიად ბერიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანას.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება №80 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 -მა წევრმა.

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეცილისტის ზვიად ბერიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საპრივატიზაციო გეგმაში განსაცორციელებელი ცვლილებები.

სხდომის თავჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: აკაკი ხუნწელიამ დასვა კითხვა თუ რამდენადაა შეფასებული აღნიშნული ქონება, რაზეც უპასუხა, რომ აღნიშნული ქონება ექსპერტ აუდიტის მიერ შეფასებულია 20500 ლარად.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 ოქტომბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება №81 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა